ხაშურის მოამბე

№8 (259) 2 მარტი, ორშაბათი, 2020 წელი

– 3 მარტი დედის დღეა –

გილოცავთ!

დედა - ეს ყველაზე მშვენიერი სიტყვაა დედამიწაზე, რომელიც ყველა ენაზე ერთნაირი სინაზით ჟღერს.

ეს არის სასწაული, რომლის შეცნობასაც ჩვენ დაბადებიდანვე ვიწყებთ. დედის ალერსიან და თბილ ხელებს ყველაფერი შეუძლია, ხოლო მის ერთგულ გულში კი სიყვარული არასდროს არ ქრება.

დედა შეძლებს შვილებს გაუგოს ისე, როგორც არავინ, მიიღოს ისინი ისეთები, როგორებიც არიან და ყველაფერი აპატიოს, რადგან დედის გული ეს ის სიღრმეა, რომლის ფსკერზეც პატიება ყოველთვის მოიძებნება.

ამიტომ, დედის დღე - ეს არის კიდევ ერთი შანსი მადლობა გადავუხადოთ ადამიანს, რომელმაც სიცოცხლე გვაჩუქა, იმ სიყვარულისთვის, ზრუნვისთვის და უანგარო მსხვერპლისთვის, რომელსაც ის საკუთარი შვილების კეთილდღეობისთვის იღებს.

ვულოცავთ ყველა დედას ამ ულამაზეს დღესასწაულს!

ხაშურის მუნ იციპალიტეტის მერია,
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

25 თებერვალს უკრაინელი პოეტი ქალის - ლესია უკრაინკას დაბადების დღე აღინიშნა

პოეტის 149-ე საიუბილეო თარიღი, სურამში ღონისძიებებით აღინიშნა.

დაბა სურამის №3 საჯარო სკოლაში, მოსწავლეების მონაწილეობით, კონცერტი გაიმართა.

ლესია უკრაინკას ძეგლის გვირგვინით შემკობაში მონაწილეობა მიიღეს:

მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, პარლამენტის წევრმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა, მერის პირველმა მოადგილეზვიად ქურდაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა ტარიელ გოგალაძემ და უკრაინული დიასპორის წარმომადგენლებმა.

ღონისძიების საპატიო სტუმრები იყვნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი და საქართველოში უკრაინის ელჩი იგორ დოლგოვი.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, დაფინანსებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სრულმასშტაბიანი პროექტი იწყება. პროექტის პირველ ეტაპზე მოხდება შენობის დემონტაჟი, მშენებლობის სამუშაოებს კი „არტ-ბილდინგი“ შეასრულებს. თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე.

სამუზეუმო ექსპოზიცია სახლ-მუზეუმის თანამედროვე მუზეოგრაფიის კონცეფციას დაექვემდებარება, რაც მას მეტ შინაარსობრივ დატვირთვას შესძენს. სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია 2021 წელს დასრულდება.

პროექტის პრეზენტაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენ. დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ინიციატივით მოეწყო.

დიდმარხვა დაიწყო – რამდენად სწორად ვმარხულობთ

„მძიმე“ ორშაბათი გაგვითენდა, ანუ დადგა დიდმარხვის პირველი კვირის ორშაბათი. დღეიდან დაიწყო დიდი მარხვა, რომელიც 19 აპრილს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულით დაგვირგვინდება.

პავლე მოციქული გვასწავლის: „მოვიქცეთ თავდაჭერილად, როგორც დღისით, არა მსუნაგობით და ლოთობით, არა ავხორცობითა და თავაშვებულობით, არა ჩხუბით და შურით, არამედ შეიმოსეთ უფალი ქრისტე და ხორცზე ზრუნვას გულისთქმად ნუ გაიხდით“.

რატომღაც მარხვა საჭმლის აკრძალვადაა გაგებული, არადა, უპირველესად, ის არის თავშეკავება, სიმდაბლე, სინანული, განცდაი თვისთა ცოდვათა, ქველის საქმე და ლოცვა. რაც შეეხება გასტრონო

(დასასრული II გვერდზე)

შიდა ქართლში საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებზე იმსჯელეს

შიდა ქართლის რეგიონში,საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორი თამარა წულეისკირი და თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სტრატეგიული კომუნიკაციების სამმართველოს უფროსი დავით უჩაძე უძღვებოდნენ. თამარა წულეისკირმა საინფორმაციო ცენტრის საქმიანობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე ისაუბრა და მზარდი ანტი-დასავლური პროპაგანდის ფონზე,საქართველოს ევროპული ინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებასთან ინტენსიური დიალოგისა და აღნიშნულ პროცესში მოქალაქეების აქტიური ჩართვის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. შეხვედრას მერიების, საკრებულოებისა და აიპების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის ძირითად თემას სტრატეგიული კომუნიკაცია წარმოადგენდა. შეხვედრაზე მოწვეულმა ექსპერტმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის დინამიკაზე, პროპაგანდის საფრთხეებზე, ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი მასშტაბური პროექტი,რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა ანტი-დასავლური პროპაგანდისგან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ საქართველოს მოსახლეობის სწორად ინფორმირებულობის და ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების შესახებ ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით მიიღო. პროექტის ფარგლებში შეხვედრები,მრგვალი მაგიდის დისკუსიები და სემინარები იმართება რეგიონის სხვადასხვა დასახლებებში.

გასულ კვირას, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, შიდა ქართლის რეგიონში, საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოს ყველა რეგიონის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრები იმართება. შიდა ქართლის რეგიონის თვითმმართველობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა გორში ჩატარდა.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ხოჯევანიშვილმა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ილია თამარაშვილმა მიმართეს.

„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო არაერთ პროგრამას ახორციელებს,რომლიც მოიცავს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლის მხარდაჭერას. პროგრამებისა და პროექტების შესახებ ფერმერთა ინფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენელთა ჩართულობა“ - განაცხადა ილია თამარაშვილმა

„ფერმერებისა და ზოგადად, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და განვითარება შიდა ქართლის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიციებული სახელმწიფო პროგრამების სარგებლიანობის კუთხით შიდა ქართლი ერთ-ერთი ლიდერი რეგიონია, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს მცირე ბიზნესისა და წარმოების განვითარებას. მსგავსი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანია თითოეული დაინტერესებული პირისთვის, რათა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია და სწორად დაგეგმონ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამომავლო საქმიანობა“ - აღნიშნა შიდა ქართლის რწმუნებულმა.

სოფლად მცხოვრები მოსახლეების მხარდაჭერის მიზნით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მიერ შიდა ქართლის რეგიონში სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამა ხორციელდება. 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შიდა ქართლის რეგიონში 31 ახალი საწარმო ამოქმედდა.

შეხვედრაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს.

დიდმარხვა დაიწყო – რამდენად სწორად ვმარხულობთ

(დასასრული)

მიულ მხარეს, თავშეკავება გვმართებს ხორცისა და ხორცის პროდუქტებისგან,ყველისა და რძის პროდუქტებისგან,კვერცხისა და თევზეულისგან. არ არის დაშვებული ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების დალევა. მარხვაში ადამიანი თმობს მავნე ჩვევებს, უარს ამბობს ცოდვებზე, თავშეკავებულია.

საეკლესიო სწავლების მიხედვით, ვინც პირველად აპირებს მარხვის შენახვას, ან ვისაც სურს მისი გამკაცრება, აუცილებლად უნდა მიმართოს მოძღვარს რჩევა-დარიგებისა და ლოცვა-კურთხევისთვის. თვითნებურად, თვითრჩულობით მარხვის გამკაცრება და განსაკუთრებული ფსალმუნება დაუშვებელია. ასეთი რამ სულიერ მოძღვართან შეთანხმებით ხდება.

კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი: თუ ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო, ადამიანს არ შეუძლია მარხვის შენახვა, მანაც უნდა მიმართოს მოძღვარს,რომელიც შეურჩევს მარხვის უვნებელ ზომასა და სახეობას.

დიდი მარხვის პირველი შვიდეული,ანუ პირველი კვირა სპეციფიკურია. ტრადიციულად, მას მკაცრად ინახავდნენ და ორშაბათიდან პარასკევ საღამომდე უზეთო საჭმელს იღებდნენ — ეს წესი დაცულია დღემდე სამონასტრო ცხოვრებაში. შაბათსა და კვირას მკაცრი მარხვა არ შეიძლება. დასაშვებია ცოტაოდენი ღვინის შესმაც.

დიდი მარხვის პირველი კვირის ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით ტაძრებში იკითხება წმინდა ანდრია კრიტელის სინანულის კანონი და, როგორც წესი, მორწმუნეები ესწრებიან ამ მსახურებას.

დიდი მარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს სრულდება განსაკუთრებული წირვა, რომელსაც პირველშეწირულის ლიტურგია ეწოდება.

დიდი მარხვის II, III და IV შაბათი მიცვალებულთა ხსენების დღეებია. იკურთხება საკურთხი. საკურთხისთვის სასურველია დამზადდეს კოლიო (ხორბალი თაფლით), პური, წითელი ღვინო და ზეთი (შესაძლებელია, სამარხვო საკვებიც).

ამ მარხვაში იწყება მიცვალებულთა 40-დღიანი მოხსენიება, ამიტომ მორწმუნეები ჩამოწერენ გარდაცვლილთა სახელებს (მხოლოდ მართლმადიდებლობით მონათლულები. არ შეიძლება თვითმკვლელთა და ღვთისმგმობელთა მოხსენიება) და ტოვებენ ტაძრებში.

დიდი მარხვის პერიოდში ეკლესიებში სრულდება ზეთის კურთხევის საიდუმლო, ანუ „შვიდგზის ზეთისცხება“, როგორც მას დღეს უწოდებენ. ყველა ტაძარი წინასწარ აცხადებს, რომელ დღეს იქნება შესაძლებელი ამ მსახურების ჩატარება.

ყველიერის შვიდეულიდან მოყოლებული აღდგომის შემდეგი კვირის ჩათვლით, ანუ ბრწყინვალე შვიდეულის ბოლომდე არ შეიძლება ჯვრისწერა, რადგან ღმერთი არ აკურთხებს მარხვაში დამყარებულ ცოლქმრულ კავშირს.

დადგა დიდი მარხვა — სულის ზეიმი, სიკეთის, სიყვარულის, სიმდაბლის, სინანულის, გაძლიერებული ლოცვის, დათმენის, შრომის ჟამი. ყველაზე მთავარი არ დაგვავიწყდეს: მარხვას მაშინ აქვს აზრი, როცა აღსარების საიდუმლოს აბარებ, სინანულში ხარ და ეზიარები ქრისტეს სისხლსა და ხორცს (ამის გარეშე მარხვა დიეტაა!) — ასე დაგეცვათ და გაგეტარებინოთ 7-კვირიანი პერიოდი და სრული სულიერი სიხარულით შეხვედროდით დღესასწაულთა დღესასწაულს — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!

სურამში დაბადებული ქართველი ებრაელი, რომელმაც რუსი ჯაშუშები და ცნობილი ტერორისტები გაანადგურა

გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ისრაელის დაზვერვის ყოფილ მაღალჩინოსან ავთანდილ წიწუაშვილთან, იგივე იცხაკ ილანთან. უსაფრთხოების სააგენტოში 31 წლიანი მუშაობის პერიოდში, მან დაკითხა და გამოავლინა არაერთი რუსი ჯაშუში და განსაკუთრებით საშიში ტერორისტი, მათ შორის "ინჟინერის" მეტსახელით ცნობილი კამიკაძე.

იცხაკ ილანი 1995-1997 წლებში ღაზას ზონის კონტრტერორისტული ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი იყო, შემდეგ მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ისრაელის კონტრტერორიზმისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტებში.

ქართველი ებრაელი **ავთანდილ წიწუაშვილი** სურამში დაიბადა... ის გახლავთ დიდი რაბინების შთამომავალი. დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა... როგორ აღმოჩნდა ისრაელის უშიშროების სააგენტოში? რას იხსენებს მის ქართულ ფესვებზე და წარმატებულ ანტიტერორისტულ საქმიანობაზე? ამას თავად იცხაკ ილანი მოგვიყვება:

- დავიბადე და გავიზარდე სურამში, როგორც ავთანდილ წიწუაშვილი. შინაურები იცხაკს (ისაკოს) მეძახდნენ. ვარ დიდი ქართველი ებრაელი რაბინების შთამომავალი. პაპაჩემი - რაბინი გაბრიელი, იყო სურამის ებრაელთა ლიდერი და მთავარი რაბინი. პაპაჩემის ძმა, რაბინი მოშე დავარაშვილი იყო საზოგადო მოღვაწე და 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ერთ-ერთი ხელის მომწერი. პაპაჩემის პატარა ძმა - რაბინი იაკობი, იყო საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი გასული საუკუნის 60-70 წლებში. მეოთხე ძმა, რაბინი მიხაელი ჩამოვიდა პალესტინაში (იერუსალიმში) საცხოვრებლად, 100 წლის წინ. 1969-73 წლებში ვსწავლობდი თბილისში, კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატში. ეს სკოლა დავამთავრე ოქროს მედალზე და იმ ზაფხულშივე, 1973 წელს, წამოვედით ისრაელში საცხოვრებლად.

- როგორ დაიწყო თქვენი კარიერა?

- ისრაელში დავიწყე სწავლა იერუსალიმის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. შემდეგ ვიმსახურე ჯარში 4 წელი. ისრაელის საჰაერო ძალებში გავხდი ოფიცერი. ჩემი დივიზიის მეთაურის მოთხოვნით შევიცვალე გვარი: „ილან“ ივრითულად ნიშნავს ხეს და მოხსენიებულია ფსალმუნის პირველი პარაგრაფის ლოცვაში, როგორც კარგი ნაკვეთის მომცემი... ჯარის მერე, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას ვაპირებდი, მაგრამ როგორც კინოში ხდება, ზუსტად ისე, ერთმა ტელეფონის ზარმა შეცვალა ჩემი ცხოვრება: 1981 წელს დარეკა ტელეფონმა სახლში და შემომთავაზეს, მივსულიყავი „საინტერესო შეხვედრაზე“... ასე დაიწყო ჩემი სამსახური ისრაელის უშიშროების სააგენტოში (ISA), რომელიც გაგრძელდა 31 წელიწადს. 4 წელი ვიმსახურე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრდაზვერვის დეპარტამენტში. შემდეგ ვისწავლე არაბული ენა და ვმსახურობდი თითქმის 9 წელი ტერორისტების დამკითხველად, რამალლას რეგიონში (5 წელი როგორც დამკითხველი, 3 წელი - დამკითხველთა ჯგუფის უფროსი და 1 წელი - დამკითხველთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე).



1995-1997 წლებში ვიყავი ღაზას ზონის კონტრტერორიზმისა და ოპერაციების განხორციელების დეპარტამენტის უფროსი. შემდეგ ვიყავი იეჰუდას რეგიონის დამკითხველთა დეპარტამენტის უფროსი. 2000 წელს გავხდი სამარიის რეგიონის უფროსი ბრიგადირ-გენერლის წოდებით, სადაც ვიმსახურე 2003 წლის ბოლომდე, ეგრეთ წოდებულ „მეორე ინტიფადას“ პერიოდში. 2004-2006 წლებში ვიყავი ისრაელის უშიშროების სააგენტოს დაკითხვების განყოფილების უფროსი. 2006-2008 წლებში - არაბულ/ირანული კონტრტერორიზმისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსი. 2008-2010 წლებში - არაბულ/ირანული კონტრტერორიზმისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსი. 2010-2011 წლებში - ისრაელის უშიშროების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

- რუსული აგენტურის გამოვლენის საქმეში თქვენი წვლილის შესახებ რას გვეტყვით?

- ამ კითხვაზე ვერ გაგცემთ პასუხს. აგიხსნით კიდეც, რატომ: რაც უფრო ნაკლები ეცოდინებათ რუსებს ჩემზე, მით უკეთესია. ერთ რამეს კი გაგიმხელთ: მე დავკითხე შაბთაი კალმანოვიჩი, რომელიც იყო საბჭოთა კავშირის ჯაშუში ისრაელში. დღემდე რუსები არ აღიარებენ იმ ფაქტს, რომ კალმანოვიჩი იყო მათი ჯაშუში, მიუხედავად იმისა, რომ მან 6-წლიანი ციხე მოიხადა ისრაელში (9-ის მაგივრად), დაბრუნდა რუსეთში და მოკლეს მოსკოვში.

- დაკითხვების დეპარტამენტში საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდით. საინტერესოა, საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები, ტერორისტები, სხვა სახის დამნაშავენი თუ მოხვედრილან თქვენს ხელში?

- ამ კითხვაზეც ვერ გაგცემთ პასუხს: ბევრს ცნობილ ადამიანს გაუვლია ჩემ ხელში, ოღონდ რაც საიდუმლოა, ის საიდუმლოდ რჩება დღესაც.

- მაშინ გკითხავთ, თუ შეგიძლიათ, სერიული მკვლელის, ჯეკ ტიტელის დაკავების შესახებ მოგვიყევით?

- ჯეკ ტიტელი იყო ებრაელი ნაძირალა ტერორისტი, რომელზეც ლაპარაკიც ზედმეტია. ის დასავლეთის სანაპიროზე მდებარე ერთ-ერთ ყველაზე შორეულ დასახლებაში ცხოვრობდა. მოკლა ორი არაბი, უდანაშაულო მოქალაქე და დაჭრა რამდენიმე ებრაელი უდანაშაულო მოქალაქე, ძირითადად პოლიტიკური და ჰომოფობიის იდეოლოგიიდან გამომდინარე. მისი აღმოჩენა და დაპატიმრება დიდ ხანს გაგრძელდა, რადგან ძალიან ფრთხილად იქცეოდა. ბოლო-ბოლო, 2009 წელს დავაპატიმრეთ და სასამართლომ მიუსაჯა ორჯერ სამუდამო ციხე და კიდევ - 30 წელი.

- ღაზას სექტორში მუშაობისას მნიშვნელოვანი როლი გქონდათ ტერორისტის, მეტსახელად "ინჟინერის" - ლიკვიდაციაში. თუ შესაძლებელია, გვიამბოთ ამის შესახებ?

- აჰია აბდ ალ-ლატიფ აიაში ეგრეთ წოდებული „ინჟინერი“, პალესტინელი ტერორისტი იყო, რომელმაც პირველმა დაიწყო თვითმკვლელობის ტერაქტების განხორციელება. ისრაელის ასობით მოქალაქე გახდა მისი მსხვერპლი. 1995 წელს, როცა იგრძნო, რომ მის ირგვლივ ალყა ვიწროვდებოდა, გაიქცა ღაზას სექტორში და გააგრძელა აქტიურობა ტერაქტებში. მისი ლიკვიდაციის ბრძანება იცხაკ რაბინმა გასცა, ოღონდ ამის გამო ღაზაში შესვლა, ან „ხელის ანაბეჭდის“ დატოვება აკრძალა. მე ვიყავი ამ ძალიან რთული ოპერაციის უფროსი, რომელიც ნახევარ წელიწადს გაგრძელდა: ჩვენ შევძელით ხელის ტელეფონის გადაქცევა ბომბად, შევძელით ამ ტელეფონის შეტანა აიაშის ახლო გარემოცვაში და „ვაიძულეთ“, რომ ამ ტელეფონით ელაპარაკა მამასთან. ავაფეთქეთ სწორედ საუბრის დროს. აიაში ადგილზევე გარდაიცვალა. სხვა არავინ დაზიანებულა. ეს მოხდა 1996 წლის 5 იანვარს, დილის 8 საათზე. დღემდე ეს ოპერაცია ითვლება ერთ-ერთ გამბედავ და უჩვეულო ოპერაციად.

- რას ითვალისწინებდა საიდუმლო ოპერაცია "დამცავი ფარი", რომლის ხელმძღვანელიც იყავით?

- ოპერაცია „დამცავი ფარი“ წელიწად-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2002 წლის გაზაფხულში, მე ვიყავი სამარიის რეგიონის უფროსი, სჰინ ბეტ-ში (ისრაელის სპეცსამსახურის ერთ-ერთი განყოფილება). ამ ოპერაციის შესრულება გადაწყდა ებრაული დღესასწაულის, ფესახის დღეს. იმ ღამით თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი ნათანიაში, სასტუმროს „პარკში“ და 30 ადამიანი მოკვდა, 100-ზე მეტი კი დაიჭრა.

ისრაელის ჯარმა ხელახლა დაიპყრო იეჰუდასა და სამარიის რეგიონები. დავიწყეთ ამ ტერიტორიების „გასუფთავება“ ისე, რომ ყველა ტერორისტი დავაპატიმრეთ ან დავხოცეთ და დღემდე ვახორციელებთ ამ რაიონების ოპერატიულ კონტროლს. რომ შევაჯამოთ ეს ოპერაცია, ისრაელმა სასტიკად დაამარცხა პალესტინელი ტერორისტები ამ რაიონებში და დღემდე ინარჩუნებს უპირატესობას, ოპერატიული კონტროლის თვალსაზრისით.

- მოგვიყევით დღევანდელ სიტუაციაზე, ისრაელში საომარი მოქმედებების შესახებ. რატომ მოხდა "ისლამური ჯიჰადის ლიდერის, ბახუ აბუ ალ-ატუს ლიკვიდაცია ახლა, როცა ამის საშუალება დიდი ხნის წინაც იყო?

- ტერორისტების ლიკვიდაციისთვის დროის შერჩევაზე ძალიან ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. მართალი გითხრათ, რა იყო მიზეზი, რომ მაინც და მაინც ახლა მოხდა ამ კონკრეტული ტერორისტის ლიკვიდაცია, არ ვიცი. სჰინ ბეტ-ში არ არის მიღებული საიდუმლო დეტალების გამჟღავნება პენსიონერებისთვის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეგ ვაუბატონი ალბათ აპირებდა ახლო მომავალში ისრაელზე რაკეტების სროლას. ამიტომაც ისრაელის ჯარმა წინასწარ მოახდინა მისი ლიკვიდაცია, რამაც ქვეყანა კვლავ საომარ მოქმედებებში ჩააბა.

- და მაინც, რატომ გრძელდება შეიარაღებული დაპირისპირება საუკუნე-ნახევარია? არის თუ არა შესაძლებელი, რომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას ეს კონფლიქტი, თუ ამის ნება ორივე მხარეს ექნება?

- ეს კონფლიქტი გრძელდება თითქმის 160 წელიწადს, 1860 წლიდან, რადგან არაბები ვერ შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ებრაელები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, 2000 წლიანი დიასპორაში ყოფნის შემდეგ და დააარსეს დამოუკიდებელი, ებრაელთა ერის ერთადერთი სახელმწიფო! სანამ არაბები არ დარწმუნდებიან, რომ ისრაელის განადგურება შეუძლებელია, მანამ არ იქნება მშვიდობა. ჩვენთვის საჭიროა, ვიყოთ საკმარისად ძლიერები, რომ დავამარცხოთ არაბული/ირანული/მუსლუმანური ნებისმიერი კოალიცია, თუ იძულებული გავხდებით. იმედი მაქვს, რომ არაბები მალე მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ისრაელის განადგურება შეუძლებელია და მშვიდობა დამყარდება ჩვენ შორის.

- როგორია რუსეთის როლი და გავლენა ისრაულ-არაბულ კონფლიქტში?

- რუსეთის გადაწყვეტილებები ამ კონფლიქტში გამომდინარეობს მხოლოდ მისი ინტერესებიდან! რუსეთი არ არის ისრაელის მტერი, მაგრამ არც მეგობარია! რუსეთი არის ჩვენი მტრების მეგობარი/მოკავშირე. რუსებს აქვს ორი მთავარი ინტერესი: პირველი - შეინარჩუნოს თავისი არაბი, ირანელი და სხვა მუსულმანი მოკავშირეები, რომ გააგრძელოს მათთვის დიდძალი იარაღის მიყიდვა და მეორე: რადგანაც რუსეთის შემოსავალი მთლიანად დამოკიდებულია ნავთობისა და გაზის ფასებზე, სჭირდებათ მაღალი ფასების შენარჩუნება. ამისთვის კი საჭიროა, რომ ნებისმიერ მომენტში, ამა თუ იმ წერტილში მსოფლიოში იყოს სამხედრო კონფლიქტები, რაც ფასების დაწევის შესაძლებლობას არ მისცემს. ჩემი აზრით, აფხაზეთის, ოსეთისა და უკრაინის (დონბასსა და ყირიმში) კონფლიქტებიც აქედან მომდინარეობს. თუ მოიძებნა ენერგიის სხვა რესურსი, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, რადგან აღარ ეღირება კონფლიქტების გამო ფულის ხარჯვა.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი მომავალი თაობა იცხოვრებს მშვიდობიან ეპოქაში, ჩვენს ახლო და შორეულ მეზობლებთან ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ სანამ ეგ მოხდება, მანამ უნდა ვიყოთ ძალიან ძლიერები, რომ დავამარცხოთ ჩვენი მტრები!

2000 წლის წინ დაეცა მასადა, რომის იმპერიის დიდძალი ჯარის მიერ!!!

მასადა მეორედ არ დაეცემა!!!

შალომ!

გაზეთი პრაიმტაიმი“

სადღეისო თემაზე

უგულავამ „იგულავა"?!

ეკრანიდან თუ ამდენ საოცრებებს მომასწრებდნენ ეს მოლაყბე, ტენდენციური, მატყუარა, დიდი ალბათობით მოსყიდული ტელევიზიები, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი! ეს ეხება, პირველ რიგში, ყოფილი „რუსთავი-2"-ის მიერ გამოჩეკილ და გაორმაგებულ სატელევიზიო არხებს: „მთავარს" და „ფორმულას". აგრეთვე: „ტვ-პირველს, „კავკასიას" და სხვებს. ოპოზიციური პარტიები დაანონსებენ თუ არა, ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე, რუსთაველზე, საპროტესტო მიტინგს ვმართავთო, ტელეჟურნალისტების სიხარულს საზღვარი არა აქვს! გაუჩნდებათ გადასაღები მასალა, – ხშირად მთელი დღე ამ მიტინგებს აჩვენებენ, ეკრანიდან არ ჩამოდიან და ინტერვიუს იძლევიან მიტინგის ლიდერები, ცნობილი თუ ახლადგამოჩეკილი გალიდერებული **პოლიტიკური „სახეები". ისინიც გაჰკივიან, იმუქრებიან, იგინებიან, ერთ**

წინადადებაში ლამის სამჯერ წარმოთქვამენ „ივანიშვილს", ჩვენა ვართ, რაცა ვართო, ქართველი ხალხი და მთელი მსოფლიო ჩვენ გვიჭერს მხარსო, მალე პოლიტიკურ მოუსავლეთში გავგზავნით ამათო და ა.შ. ოპოზიციურ პარტიებს არ ჩამორჩებიან ჩვენს ქვეყანაში სოკოებივით მომრავლებული და უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი ლიდერებიც ასევე ეკრანიდან არ ჩამოდიან, გვმოძღვრავენ, იურიდიულ „ნიუანსებს" გვასწავლიან. გასულ წელს, ოკეანისგაღმელი პატრონებისგან გამოყოფილი 16 მილიონი (!) ხომ უნდა აითვისონ; –ათასნაირ ხერხებს და პლაკატებს იგონებენ და ათვალსაჩინოებენ ეკრანზე, რომ ჩაეთვალოთ „მოღვაწეობა". შეურაცხყოფას აყენებენ რელიგიურ წმინდანებს, ხატებს და მათ ადგილზე „ქართული ოცნების ლიდერების ფოტოსურათებს ამაგრებენ. პლაკატი „სირცხვილია!" გამოაქვთ, როცა თვითონ არიან უსირცხვილოები. **ცხვრებიც კი მირეკეს პარლამენტის წინ** იმის სიმბოლოდ, თითქოს პარლამენტარები და მთავრობის წევრები მონები და ცხვრები ხართ ივანიშვილისო...

ხშირად ტელეჟურნალისტები თვითონ ამძაფრებენ სიტუაციას, ვითარებას დრამატულს ხდიან; მაგალითად, ეკითხებიან „რესპონდენტებს": საპროტესტო აქციებს ხომ მუდმივად გააგრძელებთო, მუხტს ხომ არ დააგდებთო. ისინიც პასუხობენ: არა, რასაკვირველია, უფრო მძაფრად შევუტევთო! სადმე რაღაც ჩოჩქოლი რომ ატყდება, შეშფოთებული ხმით გარბის მიკროფონიანი ჟურნალისტი და ოპერატორს აჩქარებს: აი, იქ რაღაც ხდება, ვაჩვენოთო. მოვლენ და არაფერი ისეთი იქ არ ხდება, მხოლოდ გაწევ-გამოწევაა

და გინება ისმის. მაგინებელთან უფრო ახლოს მიაქვთ მიკროფონი. სკანდალურობას გამოკიდებულ ტელევიზიებს ძალიან უნდათ, რომ იყოს ჩხუბი. დასისხლიანება, პირველებმა გადაიღონ ესა თუ ის კადრი. თვითონ არანაირ შეფასებას არ აძლევენ მოვლენებს, ამა თუ იმ პირის ნათქვამს. ეს არის მათი ჟურნალისტობა და ობიექტურობა? (მაგრამ ცნობილია, ობიექტურობა მყისვე ქრება იქ, სადაც მოსყიდვა ხდება!).

ამას წინათ, ლეიბორისტების ოფისიდან ვუყურე გიგი იგულავას „აღსარებას", ციხეში წასვლის წინ რომ გააკეთა. როგორ ამაყად ეჭირა თავი, თითქოს აქ არაფერი ხდებაო! რასაკვირველია, ისევ ხელისუფლებას და ივანიშვილს ადანაშაულებდა ყველაფერში. სულაც არ ეტყობოდა შეშფოთება და სინანული, ციხეში რომ აგზავნიდნენ; **იფიქრებდი, ეს კაცი დასასვენებლად მიდისო. ბატონი გიგი მართლაც გონიერი კაცია, შესახედაობითაც გამოსარჩევია, ანალიზის უნარიც კარგი აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში რატომ არ ჰქონდა სულ მცირე სინანულის გრძნობა მაინც, თუ რა ჩაიდინა?** ნუთუ თავის საქციელს ამართლებს? **48 მილიონი რომ გაფლანგა, ეს არაფერს ნიშნავს? 48 თეთრი ხომ არ არის, 48 მილიონია!** სად წაიღო მან ეს ფული? – მოახმარა თანაპარტიელებს. მაშინ ქალაქის მერი იყო და „იქმოდა", რასაც ინებდა". (როგორც დ. გურამიშვილი ამბობს). გამახსენდა მისი ადრინდელი ინტერვიუ: ჩემს ხალხს უჭირდა და ვეხმარებოდიო! იმას აღარ ამბობს, ამ ხალხს არჩევნების წინ რომ ეხმარებოდა, რათა ნაციონალებს გაემარჯვათ არჩევნებში! სააკაშვილის ზეობის პერიოდში ნაციონალების ლიდერები, რომ იტყვიან, „ბაირამობდნენ". აბა, როგორ მოგწონთ, ბატონმა გიგიმ თავისი მეუღლე სამშობიაროდ რომ გადააფრინა ვენაში (ავსტრიაში) და ამ თვითმფრინავს კიდევ თავისი გულშემატკივრებით „სავსე" ორი თვითმფრინავი გაჰყვა, თანაც ეს ყველაფერი – ბიუჯეტის ხარჯებით! და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარი შიმშილობდა და პურის ფულის საშოვნელად ქუჩაში სავაჭროდ იყვნენ გამოსულები სიცივეში და სიცხეში!

ამ ინტერვიუს დროს, ბატონ გიგის გვერდით წარბშეკრული შალვა ნათელაშვილი იდგა, რომელმაც თქვა: „პირსისხლიანმა დიქტატორმა გადალახა წითელი ხაზები. მესამედ დააპატიმრა ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი გიგი უგულავა და ის ემზადება რეჟიმის ციხეში წასასვლელადო". როგორ მოხდა, რომ ბატონმა შალვამ სხვა დაასახელა „თვალსაჩინო ლიდერად?" საკვირველი ის არის, რომ ადრე ბატონმა შალვამ ბატონი გიგის მეუღლის მშობიარობის ავსტრიაში „ვოიაჟი" და ფულების ხარჯვა მთელს ქვეყანას მოჰფინა და სულ ხელზე ჰქონდა დახვეული ეს ფაქტი, ახლა კი მის გვერდით დგას და მას აქებს და ადიდებს! რა არის ეს, თუ არა ქამელეონობა? რატომ ხდება ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკოსების ასეთი მეტამორფოზა? ლეიბორისტების ოფისში

48 000 000

შეკრებილი ოპოზიციური პარტიის ლიდერები განა გუშინ და გიუშინწინ არ იყო ერთმანეთს რომ ლანძღავდნენ, აფურთხებდნენ და პოლიტიკურად ამათრახებდნენ? ახლა კი ერთად სხედან! რა არის ეს, თუ არა **„გადაფურთხებულის ალოკვა?!" ამ დამცირებას კი მხოლოდ იმიტომ მიმართეს, რომ სახელისუფლო თუ საპარლამენტო სავარძლებში როგორმე მოკალათდნენ!**

დიახ, ციხეში წამსვლელი **გიგი უგულავა, ფაქტობრივად, გმირად შერაცხეს ჩვენმა ტელევიზიებმა!** ამ კადრს ვინც უყურა, ჟურნალისტების მრავალტანჯული ხმაც ხომ გახსოვთ? ადრე ბატონმა გიგიმ 1 წელი და 3 თვე მოიხადა ციხეში უფლებამოსილების გადამეტებისათვის; ახლა გაფლანგვისათვის, ანუ ქურდობისათვის 3 წელი და 2 თვე უნდა იჯდეს ციხეში (შეიძლება უფრო ადრეც გამოუშვან). მკითხველს შევახსენებ, რომ **სწორედ სააკაშვილის და უგულავას რეჟიმის დროს, მაგალითად, ქათმის ქურდს იმდენ წელს უსჯიდნენ, რამდენ ქათამსაც მოიპარავდა:** სამი ქათმის ქურდს - სამ წელს, ათი ქათმის ქურდს - 10 წელს და ა.შ. **ახლა მითხარით, 48 მილიონში რამდენი ქათამი მოვა? თქვენ გამოიანგარიშეთ, ამის მიხედვით რამდენი წელი ეკუთვნის ბატონ გიგის?**

ზევით აღვნიშნე, გეგონებოდათ, ბატონი გიგი დასასვენებლად მიდისო! **აბა, რა გგონიათ, ქართულ ციხეში კომფორტულ პირობებს არ შეუქმნიან ბატონ გიგის, ისევე** როგორც ვანო მერაბიშვილს ჰქონდა, **საერთოდ ქართულ ციხეებში პატიმრებს თურმე ისე მოწიწებით ექცევიან და ისე მაძღრისად კვებავენ, რომ გარეთ მყოფ თუნდაც აკადემიკოსებს ნამდვილად შეშურდებათ და ენატრებათ მათი ყოფა.**

ასე რომ, ბატონი გიგი ციხეში ადრეც „გულაობდა". ციხის გარეთაც ხომ „გულაობდა და გულაობდა" და „ვითომ საპყრობილეში" ახლაც ასევე „იგულავებს" და „იგულავებს? ...

ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ, თორემ...

უშანგი ჯანგირაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ.#41,42,44,45,46,47,„ხმ“, 2020 წ.#2,3,4,5,6,7)

თეიმურაზმა და ერეკლემ,ამის შემდეგ,ადვილად დაიჭირეს წირქორის ციხე: „...მეფე თეიმურაზ და ბატონიშვილი ერეკლე მიბძანდნენ ქსანზე, წირქორის ციხე ისევ გამაგრებული იყო და რევაზ ამილახორის შვილი იდგა შიგ. მიადგნენ გარს და დაუწყეს ლაპარაკი და აღუთქვა წყალობა უზომო, დამორჩილდა ბრძანებასა მეფისასა და გამოვიდა რევაზ, მიართვა ციხე... “.

თეიმურაზმა სულ მალე სხვა ციხე-სიმაგრეებიც დაიკავა, რომლებიც გივი ამილახორს ჰქონდა გამაგრებული. ციხეებში მან „თვისი მისანდო კაცი დააყენა“ და თან ნადირ-შაჰს აცნობა წარმატების შესახებ. ამის საპასუხოდ გახარებული ნადირ-შაჰი დიდ წყალობას დაჰპირდა თეიმურაზს.

სურამში მობრუნებული ოსმალები იმის გამო, რომ ცივი ზამთარი იყო და „რაც უნდოდათ, ვერც ის საწადელი აღასრულეს“ , სულ მალე „აიყარნენ, შეიარეს ხეობაზე და მივიდნენ ახალციხეს სირცხვილეულნი...“ - აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი.

გივი ამილახორმა, ადრე თუ მხოლოდ ყიზილბაშების მომხრე თავადების მამულებს აოხრებდა ქვემო ქართლში, ახლა ზემო ქართლში თეიმურაზისა და ერეკლეს მომხრე თავადების მამულების აოხრებას მიჰყო ხელი. თუმცა ამილახორის თავდასხმები ხშირად მარცხით მთავრდებოდა. მაგალითად, „რაც ამილახორთან ლეკნი იყვნენ, მიუხდენ მაჩაბელს, აუოხრეს ქვეყანა, მაჩაბელი კახ ბატონს ახლდა, იმისის ჯავრით ჩამოუყენა ამილახორმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოხრებდნენ მაჩაბლის ქვეყანასა. მივიდნენ კახი ბატონი და ქართლის ხანი. ლეკნი აჩაბეთს გაუმაგრდენ, შემოეხვივნენ გარს, სხვა ღონე რომ ვეღარ დაიდვეს ლეკთ, ღამე დაიკრეს ხმლები და გავიდნენ უვნებლად... მოვიდნენ სურამს“(256).

ოსმალეთი ხედავდა, რომ გივი ამილახორის მარცხის კვალდაკვალ მისი პოზიციები ქართლში სუსტდებოდა. ამის საპირისპიროდ კი ირანის პოზიციები უფრო და უფრო მტკიცდებოდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო აქტიურ მოქმედებაზე გადასვლა.

ოსმალეთის სულთანმა ახალციხის ფაშას უბრძანა ქართლზე გალაშქრება და მისი დაკავება: „მიეცა სარასკირს ბძანება უსუფ–ფაშასათვის ქართლზე ლაშქრობისა, ვითაც ახალციხის ფაშა იყო, ქართლის ბელადობაც იცოდა, ხაზინა ბევრი გამოეტანებინათ: „ზემო ქართლი ხომ ჩვენი არისო, ჩაიარე იმაზე და ალაზნის პირზე დადექ, იქ ლეკი შემოიყარეო, ხაზინა გაუყავი და ქართლი დაიჭირეო”.

ახალციხის ფაშამ დიდი სამზადისი გასწია ოსმალეთის სულთნის ბრძანების აღსასრულებლად. პაპუნა ორბელიანი ასე გადმოგვცემს უსუფ–ფაშას ქართლზე გამოლაშქრებისათვის მზადების ამბავს: „შექმნა მზადება ახალციხის ფაშამ და გაგზავნა პური და ქერი იმდენი, რომ სურამის გარეშემო რაც საყდრები იყო, სულ აავსეს”. „დიდი თადარიგი ჰქონდათ ურუმთა,”–დაასკვნის იქვე პაპუნა ორბელიანი. ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც ჰპოვა ასახვა უსუფ–ფაშას ლაშქრობის ამბავმა. ერთ–ერთ ასეთ ლექსში, რომელიც „უსუფ–ფაშას“ სახელწოდებით არის ცნობილი, გადმოცემულია ერეკლე მეფის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად გივი ამილახორის მოსარჩლე ფაშას მზადების ამბავი:

„უსუფ ფაშამ უთხრა მამას:
„წავალ, ვნახავ ფადიშასა”.
წავიდა და გვერდს მიუჯდა,
ტკბილად მოჰყვა საჩივარსა:
შენი ჭირიმე, ხელმწიფევ,
რისთვის მართმევ ფაშობასა?
შენც ხომ იცი, კახთ ბატონი
ორთავ გარდაგვიწვდენს მკლავსა,
მას ტკბილობით ვერ გაუვალთ,
მელობით უზამთ ბევრს ავსა,
თუ მიბრძანებ, ცოცხალს მოგგვრი,
თუ არა და მოვსჭრი თავსა!
–მაგას თუ მიზამ, უსუფო,
გაგიახლებ ფაშობასა,
ტანზე ქურქსა წამოგასხამ,
მოგცემ გურჯის ქვეყანასა!”.

„გადმოვიდა უსუფ–ფაშა დიდის ჯარით,–აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი,–ჩამოიარა ხეობაზე, მოვიდა და დადგა სურამს”.

გივი ამილახორი აქვე, სურამში მიეგება უსუმ–ფაშას, რომელმაც მას დიდი წყალობა მისცა.

თეიმურაზ მეფემ გაიგო თუ არა უსუფ ფაშას სურამში შემოსვლის ამბავი სასწრაფოდ, გორში წავიდა და ქართლის გამგებელი ალი–ხანიც იხმო, თავისთან დაიბარა ერეკლეც, რომელმაც სასწრაფოდ შეჰყარა კახეთის ჯარი და მარტყოფში დაბანაკდა. არც უსუფ–ფაშა იმყოფებოდა უქმად. ახლა სურამში მდგომი დიდი მონდომებით ემზადებოდა ქართლის დასალაშქრად და თავისი ჯარის გაძლიერების მიზნით დაღესტანში ლეკ–ოსმალები გაეგზავნა დიდი ძღვენით დაქირავებული ჯარის გადმოსაყვანად. ერეკლემ გაგზავნილი ლეკ–ოსმალები მარტყოფთან დაიჭირა და ნადირ–შაჰთან გააგზავნა, თავად კი აიყარა და საგურამოში მივიდა.

ოსმალეთის მხრიდან ასეთი მხარდაჭერით გივი ამილახორის მდგომარეობა თითქოს უნდა გამოსწორებულიყო, მაგრამ მარცხს მარცხზე განიცდიდა. ამ სიტუაციაში მას ხეობელი ავალიშვილები ჩამოშორდნენ ისინი თეიმურაზთან მივიდნენ და მორჩილების ნიშნად თავიანთი ციხეები გადასცეს. მათივე თხოვნით ციხეებში თეიმურაზმა თავისი ხალხი ჩააყენა. ავალიშვილების ამ ნაბიჯმა თეიმურაზს საშუალება მისცა შექმნილი რთული სიტუაცია თავის სასარგებლოდ შემოებრუნებინა. ხეობისა და აქ არსებული ციხეების დაკავებით თეიმურაზმა შემოსული ოსმალები არამარტო ზურგს მოსწყვიტა, არამედ უკან დასახევი გზაც მოუჭრა.

მართალია, თავდაპირველად მრავალრიცხოვნობის გამო უპირატესობა ოსმალთა მხარეზე იყო, მაგრამ ქართველებმა თანდათან სძლიეს შემოსეული მტერი და სასურველ გამარჯვებასაც მიაღწიეს.

უსუფ–ფაშა სურამიდან აიყარა და რუისსა და ურბნისში დადგა. ამ ფაქტზე–სურამიდან რუის–ურბნისში ოსმალთა ჯარის გადასვლაზეა ლაპარაკი ერთ–ერთ ხალხურ ლექსში, რომელშიც ნათქვამია:

„სურამზე გადაიარეს,
გადაამტვერნეს გზანიო“.

ე.ი. იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილა უსუფ–ფაშას ჯარი, რომ მისი გადაადგილებას გზებზე მტვრის ბუღი დაუყენებია.

ოსმალებმა რუის–ურბნისში „შებილწეს მონასტრები, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი. გორის გარშემო, საცა ყანა იდგა, სულ გათიბეს, აღარსად გაუშვეს წაუხდენელი, თვინიერ გორისა“.

და ოსმალთა პირველი შებრძოლება ლიახვთან მოხდა. აქ ოსმალებმა გაიმარჯვეს: „იყო ომი ფიცხელი, რომ აღარ ეგებოდა ურუმისა ჯარი, დიაღ, დიდი იყო და ესენი ცოტანი. დაიხოცა ორნივე ფრიადი. მაგრამ გამრჯვება ურუმთ დარჩათ“. დამარცხებული ქართველები გორში შებრუნდნენ, ხოლო ოსმალები კვლავ რუისში დადგნენ. უსუფ–ფაშამ აარჩია ათასი კაცი და კვლავ დაღესტანში გაგზავნა ლეკების მოყვანის მიზნით. მაგრამ ეს ჯარი ერეკლემ, რომელიც საგურამოში იდგა, სასტიკად დაამარცხა და საშუალება არ მისცა დაღესტანში გადასვლისა: „...კახთა დაუწყეს ცემა, გააქცივეს ურუმნი, მოიყვნენ გზას ხმალდახმალ კაფით სხვილოსა ციხემდის, ამოწყვიტეს, რომ რისხვა ღვთისა დასცეს“.

პაპუნა ორბელიანი, ერეკლეს ნიჭითა და შესაძლებლობებით აღტაცებული, ქებას არ იშურებს მის მიმართ. მისი თქმით, იმ დღეს, რომ ერეკლე გენახათ, „განუკვირდებოდათ ყოველთა“. სხვათა შორის, ამასვე ამბობს ხალხური ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ნიმუში, რომელშიც ზემოთაღნიშნული ბრძოლაა გადმოცემული. მაგალითად, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ლექსის - „მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში“, - პირველი ექვსი სტრიქონი ოსმალებზე საგურამოს ბრძოლაში ქართველების გამარჯვების ამსახველია:

„ერეკლე, ჩვენი ბატონი,
ასრე პატარა კახია,
ტანს რკინის პერანგი ეცვა,
გაჰკრა ხელი და გახია,
რაც უყო ლეკ–ოსმალებსა,
ჰალალია და ჰახია...“.

ან კიდევ:

„ერეკლე ბატონიშვილი
განა უბრალო კახია?!
საგურამოში ლეკისა
ჯარ მარტომ შუა გახია!“.

ერეკლემ ამ ბრძოლაში მოკლა ლეკთა ბელადი მალიჩი. ამ ფაქტს გადმოგვცემს შემდეგი სტრიქონები:

„ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია.
ჭარის ბოლოში ლეკების
ჯარი შუაზე გახია.
ეგ იყო ნეფე ერეკლე,
ბელადო, ვერა ჰნახია?
ჩამოგახივნა ჩოხანი,
სადილიც მწარე გაჭმია“.

ბრძოლის ველზე ოსმალთა დიდი ნაწილი განადგურდა და მხოლოდ „მცირედიღა გადარჩათ“. იმდენად შთამბეჭდავი იყო ქართველთა გამარჯვება საგურამოსთან, რომ, ისევ ამ ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს, ალბათ, კიდევ ერთი ხალხური ლექსის („ერეკლე”) ბოლო სტრიქონები, როცა ამ ბრძოლის მონაწილე მამუკა ღუდუშაურზეა ლაპარაკი:

„ხმალს ამასწია მამუკამ,
ომის გუნებას ვარია,
ხოცა და ხოცა თათრები,
რიყედ დაყარა მკუდარია,
ჩვენი ფრანგულის ამაწვდა
ამილახორის ბრალია“.

უსუფ–ფაშამ შეიტყო რა ოსმალთა მარცხის ამბავი, „დიდად დაჭმუნდა, მაგრამ რადა გაეწყობოდა“. კარგად ხედავდა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა. დამარცხებული და სირცხვილნაჭამი აიყარა რუისიდან და ახალციხისაკენ წავიდა იმავე გზით, რომლითაც ქართლში შემოვიდა. მაგრამ აქ ახალი მარცხი ელოდა მას. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ხეობის ციხეებში თეიმურაზის ხალხი იყო ჩაყენებული. მათ ოსმალებს გზები შეუკრეს, აქაც ბრძოლაში მრავალი ოსმალო მოკლეს, დააგდებინეს ზარბაზნები და პეტრეს ციხეში აიტანეს. ოსმალთა მხოლოდ მცირე ნაწილმა გააღწია ხეობიდან ახალციხისაკენ.

ოსმალებს ოხრად „დარჩა პური, რაც სურამში ჩაეყარათ”. უსუფ–ფაშა ჯავრს გადაჰყვა და მალე მოკვდა: „ შეიპყრა სენმა ჯავრისამა უსუფ–ფაშა და მოკვდა,”–აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი.

ოსმალთა ასეთი მძიმე მარცხის შემდეგ თითქოს სპარსეთის პოზიციები უფრო უნდა გამყარებულიყო ქართლში, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გივი ამილახორი წინააღმდეგობას კვლავ განაგრძობდა და დანებებას არ აპირებდა.

ნადირ-შაჰისათვის უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა, რომ ადვილად ვერ დაამარცხებდა ამილახორის აჯანყებას. ამიტომ იძულებული გახდა, პოლიტიკა შეეცვალა ქართლთან დამოკიდებულებაში, რაღაც დაეთმო, ისეთი ნაბიჯი გადაედგა, რაც მისთვის მაინც ხელსაყრელ სიტუაციას შექმნიდა ქართლში და ამ გზით შეაჩერებდა აჯანყებას. 1744 წლის ივლისში ნადირ–შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზი ცნო, ხოლო კახეთის მეფედ მისი შვილი – ერეკლე. ეს იყო გივი ამილახორის ხელმძღვანელობით ყიზილბაშების წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი, რადგან “აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირშაჰი სავსებით უარეყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და “ყიზილბაშობა” აქ თანდათან “ქართველობით” შეეცვალა“.

ასეთმა გადაწყვეტილებამ სიტუაცია საგრძნობლად შეცვალა ქართლში.

სამეფო ხელისუფლების აღდგენით „იყო სიხარული ქართლსა და კახეთსა, სიხარული უზომო,“ – აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

გაზაფხული მოვიდა, გაზაფხული!..

მორჩა, დავამთავრეთ წლევანდელი ზამთარი - არცთუ მკაცრი, მაგრამ მაინც ზამთარი. გაზაფხული მოვიდა, გაზაფხული - იმედების, ოცნებების, ფერთა საოცარი გამის დრო. თუმცა, ზამთარი ის ბიჭი არ არის, ასე უცებ დათმოს პოზიციები. აგერ, ზემო სერიდან გადაღებულ ფოტოზეც ჩანს, რომ ჯერ კიდევ „იმუქრება“ და თან ბოღმისგან გულზე სკდება, რომ ამ მეტიჩარა ყოჩივარდებს ვერ მოუხერხა ვერაფერი - იგრძნეს თუ არა მარტის მოსვლა, წელში რომ გაიმართნენ და პირველებმა მოგვილოცეს მარტის მობრძანება. ჩვენც რაღა დაგვრჩენია, შევძახოთ ხმამაღლა - მშვიდობით, ზამთარო! გამარჯობა, გაზაფხულო!

ა. სუთიაშვილის ფოტოები

ასეთი იქნება ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი

მკითხველი დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე უკვე გაეცნო ინფორმაციას, რომ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, დაფინანსებით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, დიდი უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სრულმასშტაბიანი პროექტი იწყება, რომელიც 2021 წელს უნდა დასრულდეს და რომელიც ასეთ სახეს მიიღებს.

“ეტალონის” ფინალი - ხაშურში

ინტელექტუალური კონკურს „ეტალონის“ ფინალი ხაშურის №1 საჯარო სკოლაში.

ღონისძიებაში, სხვადასხვა სკოლის 82 საუკეთესო მოსწავლე მონაწილეობდა.

საბოლოოდ კი, ოსიაურის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ მახარაშვილი, 79 ქულით, 2019-20 წლების ხაშურის „ეტალონ მოსწავლე“ გახდა.

მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ: წრომის საჯარო სკოლის მოსწავლე თამარ ხაჩიძე და მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლე საბა ფანჩულიძე.

გამარჯვებულები დააჯილდოვეს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ.

„ეტალონ მოსწავლეს“ ჯილდო გადასცა, შიდა ქართლში, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე-ნუგზარ სამხარაძემ.

დაჯილდოვდა 2018-19 წლების ხაშურის „ეტალონი მოსწავლე“ ბარბარე ჭყოიძეც.

დასასრულს, „ეტალონის“ წამყვანმა და ავტორმა გოჩა ტყეშელაშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის

სამსახურს, ადგილობრივ რესურსცენტრს, I საჯარო სკოლას და საპარლამენტო ბიუროს მხარდაჭერისთვის.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის თანამშრომლები, ხაშურის სასპორტო სკოლის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბუხუტი ბუხრიკიძეს მამის

ნოდარის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.